# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— კვირა, 18 ივნისი 1900 წ. № 1155

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით<br>10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით<br>6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარეთ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარეთ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.**

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**


## ახალი ამბავი

—

✦ როგორც გვატყობინებენ, ოდესაში წლეულს **ოთხმა ქართველმა დაამთავრა უნივერსიტეტი** შემდეგს ფაკულტეტებზე: ორმა სიმეონ ამირაჯიბმა და გიორგი ხარაზიშვილმა—იურიდიულზე, ერთმა—ალექსანდრე კლდიაშვილმა საბუნებისმეტყველოზე და ერთმაც კონსტ. ჯაყელმა ისტორიულ-ფილოლოგიურზე.

✦ დიდი მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის 1-ლს მე-2 და მე-3 ქალთა გიმნაზიებში გამოცდა უკვე დასრულდა. 1-ლ ქალთა გიმნაზიაში **სწავლა დაამთავრა 57 მოსწავლე-ქალმა,** რომელთა შორისაც 36 რუსია, 17 სომეხი, 2 პოლონელი და 2 ქართველი: ოლღა ა. ბაღრიძე და ანნა დ. ოქრომჭედლიშვილი. მე-2 ქალთა გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა სულ 51 მოსწავლე-ქალმა; მათ შორის 34 რუსია, 9 სომეხი, 1 ებრაელი, 1 პოლონელი, 3 ნემეცი და 3 ქართველი: ჩოლოყაშვილი ელისაბედი, რცხილაძე მარიამი და ციციშვილი ელისაბედი. ოქროს მენდალი მიიღო ორმა, ხოლო ვერცხლისა 4 მოსწავლე-ქალმა. მე-3-ე ქალთა გიმნაზიაში სწავლა დაასრულა სულ 19 ქალმა; მათ შორის 7 რუსია, 10 სომეხი და 2 ქართველი: ჩიკვაიძე ელენე და თავდგირიძე ნინო. ოქროს მენდლით გაათავა 5-მა, მათ შორის ერთი ქართველია, სახელდობრ: ჩიკვაიძე ელენე.

✦ ქუთაისიდან „ივერიას“ სწერენ: „**წელს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლა დაასრულა** ორმოცდა ექვსმა მოსწავლემ, რომელთა შორის ოცდა თერთმეტი ქართველია, თორმეტი რუსი, ერთი ბერძენი, ერთი ებრაელი და ერთიც პოლონელი. ოქროს მედალი მიიღო ვლასოვმა (რუსმა), ვერცხლისა—სულაქველიძემ და ისკონიცკიმ. სახელი და გვარი სწავლა შესრულებულ ქართველთა:

პეტრე აბაშიძე, სიმონ აკალიანი, გრიგოლ ამაშუკელი, გრიგოლ ალშიბაია, ვასილ არდიშვილი, მელიტონ არიშიძე, ვასილ ბერეჟიანი, ვლადიმერ გობეჩია, იოსებ გობეჩია, გრიგოლ დადიანი, ილია დანელია, ალექსანდრე კანდელაკი, ვარლამ კანდელაკი, გიორგი მგელაძე, მიხეილ მდივანი, კაპიტონ მეუნარგია, დავით მიქელაძე, კონსტანტინე მოდებაძე, ალექსანდრე ნიკიტინი, ამბროს საყვარელიძე, ამბროსი სვანიძე, კონსტანტინე სულაქველიძე, ვარლამ ფალავა, ნიკოლოზ ქუთათელაძე, ლევან თუმანიშვილი, ივანე ჩხიკვიშვილი, სევერიან ჭოლოშვილი, ვარლამ შავდია, რაჟდენ შუშანია, ალექსანდრე მიქელაძე, კონსტანტინე ანჯაფარიძე. ორი უკანასკნელი ექსტერნები იყვნენ.“

✦ 16 ივნისს სხდომა ჰქონდა ქალაქის სამოსწავლო კომისიას ქალაქის თავის თავმჯდომარეობით. პირველად ქალაქის თავმა მოახსენა კომისიას, რომ საერო განათლ. მინისტრის თანაშემწემ ზვერიევმა დაათვალიერა სახელოსნო სასწავლებელი და დიდი კმაყოფილი დარჩა სასწავლებლის მდგომარეობითო. შემდეგ მოხსენდა კომისიას შუამდგომლობა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორისა სასწავლებლის შესაკეთებლად 600 მანეთის გადადების შესახებ. კომისიამ დაადგინა გადაიდვას 600 მან. სახელოსნო სასწავლებლის შესაკეთებლად; ამისთვის საჭირო მუშაობა დაევალა ამშენებელ განყოფილებას; ხარჯთ აღრიცხვის შედგენა და შენობის დათვალიერება დაევალა ა. ს. ბაბოვს და შემდეგ შეტანილ უნდა იქმნას მოხსენება ქალაქის საბჭოში. კომისიამ, სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თხოვნის თანახმად, გაანთავისუფლა იგი სამსახურიდან 10 ივლისიდან 15 აგვისტომდე საზღვარ-გარეთ წასასვლელად, დაუნიშნა 150 შემწეობა და დაავალა დაბრუნებისას მან წარუდგინოს ქალაქის მმართველობას მოხსენება მოგზაურობის დროს დათვალიერებული სახელოსნო სასწავლებლების და სხვა დაწესებულებათა შესახებ. განთავისუფლებულ იქმნა სამსახურიდან აგრეთვე მასწავლ. თედეშვილი 20 ივნისიდან 25 აგვისტომდე. მიეცა მასწავლებელს ფირუმოვს დამატებითი ჯამაგირი 100 მანეთი. დასასრულ კომისიას მოხსენდა კ. ალიხანოვის წინადადება სკოლებისათვის საკუთარი ექიმის მოწვევისა და იმის შესახებ, რომ გადამდებ ავადმყოფობის დროს სასწავლებლებში სწავლა არ იქმნას ხოლმე შეწყვეტილი 11 მასწავლებლის დანიშვნა ქალაქის სკოლებში გადაიდვა მომავალ მორიგ კრებისათვის. ხარფუხის სკოლის ზედამხედველის დანიშვნის შესახებ კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ უპირატესობა უნდა მიეცეს ძველ მოსამსახურეთ და უკეთუ ძველ მოსამსახურეთა შორის არ აღმოჩნდება შესაფერი პირი, მაშინ სასურველია მოწვეულ იქმნას ისეთი პირი, რომელმაც იცოდეს თათრული ენა. მიეცეს მასწავლებელს აღნიაშვილს 50 მან. შემწეობა.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, ტფილისის 1-ლ საქალაქო გიმნაზიის მოსამზადებელ. I, II, III და V კლასებთან არსდება მომავალ ენკენისთვიდან **მესამე პარალელური განყოფილებანი.** მსურველთ ამ განყოფილებებში შესვლისა სთხოვენ თხოვნები წარუდგინონ გიმნაზიის მმართველობას 20 აგვისტომდე.

✦ საერო განათლების სამინისტროს დაუბეჭდია „სტატისტიკური ცნობები **პირველ დაწყებით სწავლის მდგომარეობის შესახებ** რუსეთის იმპერიაში“. ამ ცნობებიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ რუსეთში ამ საუკუნის განმავლობაში პირველდაწყებით სასწავლებელთა რიცხვი—316-დან (1796 წელს) ავიდა 78.924-მდე (1896 წელს); მასწავლებელთა რიცხვი—744-დან ავიდა 113.984-მდე; მოწაფეთა—17·241-დან 3.801.133-მდე.

✦ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოება თვის მოხსენებაში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგს, სხვათა შორის, სთხოვს, რომ შემწეობა აღმოუჩინოს საზოგადოებას საბაღოსნო სკოლის მატერიალურის მხრით უკეთ მოწყობის საქმეში და აგრეთვე ეპატიოს საზოგადოებას ის ვალი, რომელიც დაედვა მას საბაღოსნო სკოლის საქმეების მოწყობის გამო.

✦ ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ნ. **სვეჩინი** დღეს, 18 ივნისს, აპირებს სოფელ წყნეთში (ტფ. მაზრა) წასვლას.

✦ როგორც გვატყობინებენ, სოხუმის ოლქის უფროსად დაუნიშნავთ პოდპოლკოვნიკი **პრუგუდზიცკი,** რომელიც ადრე დაღესტანში მსახურებდა.

✦ მაისის დიდმა წვიმებმა და სეტყვამ დააზარალა ბევრი ადგილები ამიერ კავკასიაში. გორის მაზრაში დაზარალებულია 50-მდე სოფელი, რომელთაგან 25 მარტო ზიდისთავის საბოქაულოშია. უმეტესად დაზარალებულია ამ მაზრაში ოსების სოფლები და ატენის ხეობა, სადაც ნიაღვრებმა წალეკეს ბაღები, ყანები და ვენახები. ერევნის გუბერნიაში საშინლად დაზიანდა 7 სოფელი ეჩმიაძინის მაზრისა, რომლებშიაც 12-სა და 17 მაისს მოსულმა სეტყვამ 21.117 მანეთის ზარალი მოუტანა გლეხთ. დიდი ზარალი მოსვლიათ მცხოვრებთ დაღესტნის ზოგიერთ ოლქებშიაც.

✦ „გრძელვადიან კრედიტის სტატისტიკურს კრებულში", რომლიდანაც ჩვენ ამას წინად ცნობები ამოვკრიბეთ სოფლის მამულების დავალიანების შესახებ რუსეთში, შეგროვილია აგრეთვე ცნობები ქალაქების მამულების დაგირავების შესახებ. ამ ცნობებიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ 1898 წლამდე ყველა რუსეთის ბანკებს (მათ შორის ჩვენ ორ ბანკსაც) გაუციათ ქალაქების მამულებზე 750.197,472 მანათი სესხი.

✦ ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსთ კვლავ ებრძანათ მიიღონ ზომები და გადაახდევინონ ადგილ-მამულის გადასახადის „ნედოიმკები", რომელიც ამ ჟამად ასე განაწილდება: ტფილისის მაზრაზე ითვლება—25.828 მ. 31 კ., გორისაზე—60,621 მ. 6 კ., დუშეთისაზე—13.810 მ. 77 კ.. სიღნაღისაზე—8.153 მ. 63 კ., ბორჩალოსაზე—53.168 მ. 52 კ., თიონეთისაზე—6889 მ. 8 კ., თელავისაზე—2264 მ. 23 კ., ახალციხისაზე—2872 მ. 91 კ. და ახალქალაქისაზე—1088 მ. 23 კ.; სულ მთელ გუბერნიაზე ნედოიმკა არის 175.799 მ. 14 კ.

✦ ორშაბათს, 19 ივნისს, უკანასკნელად მოხდება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მორიგი კრება; საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს შემდეგს საქმეებს: 1) გამგეობის დადგენილებას ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის შესახებ; 2) გამგეობის დადგენილებას ქალაქის ქუჩებისა და ეზოების გასაწმენდად ნაგვის საზიდ ურმების შემოღებისა და ამისათვის ქალაქის სახლის პატრონებზე სავალდებულო გარდასახადის გაწერის შესახებ; 3) გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრების დადგენილების ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ; 4) აღმასრულებელ კომისიის დადგენილება განსვენებულ ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის სისრულეში მოყვანის შესახებ და სხვანი. ამ კრებაზე საბჭოს ზოგი ისეთი საქმეები აქვს განსახილველად, რომ საჭიროა არა ნაკლებ 40 ხმოსნის დასწრება. საბჭოს მორიგი კრებები შესწყდება მომავალ 4 სექტემბრამდე.

✦ გუშინ წინ „კავკაზ"-ში და გუშინ „ივერია"-ში დაიბეჭდა ახალი ამბავი, ვითომ წერა-კითხვის საზოგადოებას განზრახვა ჰქონდეს დაბეჭდოს ზოგიერთი საეკკლესიო და ისტორიული წიგნები. როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია.

✦ ახალციხის ხელოსნებს სადაც ჯერ არს უთხოვნიათ, რომ ახალციხეში სახელოსნო მმართველობა იქმნას შემოღებული.

✦ ქუთაისიდან „ივერიას" სწერენ: „11 ივნისს ქუთაისის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წევრთა; კრებას დაესწრო ოცდა ოთხი წევრი, რომელთაც ამოირჩიეს ამხანაგობის გამგეობის წევრნი: მმართველად გ. ი. გველესიანი, ადმინისტრატორად—დ. ავალიანი, ხაზინადრად თ. მთავრიშვილი და მდივნად დ. ბ. მდივანი".

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებულის კანცელარიას შეუგროვია და დაუბეჭდია რუსულსა და ფრანგულს ენებზე ცნობები კავკასიაში მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. ეს ცნობები იგზავნება პარიზის გამოფენაზე.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ატყობინებს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ კახეთში სოფ. ყვარელის ვენახებსა და სხვა ნათეს ყანებში გაჩენილა ერთგვარი მწერი, რომელიც დიდს ზარალს აყენებს თურმე ვენახებსა და ნათესობას. მწერის გასაწყვეტად უკვე მიუღიათ ის ზომები, რომელიც მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგანაა შემუშავებული აზიურს კალიასთან ბრძოლის დროს მისაღებად.

✦ სასანიტარო საექიმო ინსპექტორმა წარუდგინა ქალაქის მმართველობას თხოვნები 6 ექიმისა, რომლითაც ისინი თხოულობენ სამსახურიდან დათხოვნას ორი თვით. ქალაქის მმართველობამ დაადგინა დათხოვნილ იქმნას ორის თვით 20 ივნისიდან ბ. გონიევი, გულულიანცი, ექიმი ქალი ფომინა-ოსიპოვისა. ორი თვით მოწვეულ იქნას ორი ექიმი, რომელთაც დაევალოთ ასრულება გონიევის და ფომინა-ოსიპოვის თინამდებობის და თვეში მათ მიეცეთ 100 მან., ფომინა-ოსიპოვის მაგივრად დედათა ავადმყოფობათა წამლობა დაეკისროს ექიმ ქალს ისაკოვისას და ამისათვის მას მიემატოს ჯამაგირი 50 მან. თვეში.

✦ თელავიდან გვწერენ: კვირას, 11 ივნისს, თელავის სამოქალაქო სასწავლებელში გამართულ იქმნა საღლესასწაულო აქტი სწავლის და გამოცდის გათავებისა გამო. აქტს მომეტებულ ნაწილად დაესწრნენ მოსწავლეთა მშობლები და თელავის საზოგადოების ზოგიერთ სამატიო წევრნი. აქტი დაიწყო სამადლობელი პარაკლისით, რომელიც გარდაიხადა ამავე სასწავლებლის სადმრთო სჯულის მასწავლებელმა დეკანოზმა ხელაშვილმა და რომლის დროსაც გალობდა მოსწავლეთა გუნდი რუსულად. შემდეგ მოსწავლეებმა სხვა და სხვა ლექსების კითხვა დაიწყეს რუსულად. გუნდმა-კი რამდენიმე ხალხური სიმღერა იმღერა რუსულად. ორკესტრმა, რომელსაც ამავე სასწავლებლის შეგირდები უკრავდნენ რამდენიმე «მარშ»-ი შეასრულა; შემდეგ წაიკითხეს სია იმ მოსწავლეებისა, რომელნიც გადაყვანილ იქმნენ შემდეგ კლასში. ბოლოს-კი დაურიგეს ატესტატები იმ მოსწავლეთა, რომელთაც წელს სწავლა გაათავეს. წელს ამ სასწავლებელში სულ 8 მოსწავლემ გაათავა სწავლა; ამათგან 6 ქართველია, ხოლო 2 სომეხი. იმ ქართველების გვარები, რომელთაც წელს სწავლა გაათავეს და ატესტატები მიიღეს: გ. ბურჭულაძე, არ. ბარნაბოვი, დ. აბაშიძე, შ. მელვინეთუხუცესოვი, ივ. შიუკაშვილი და ლ. შიუკაშვილი. ამათგან პირველმა გაათავა ბურჭულაძემ.

## სამეცნიერო ცნობა

### ყვავილის აცრა და დ—რი ჯენნერი

### III

1790 წლის მაისის ერთ მშვენიერს დღეს ჯენნერი და მისი ერთი მეგობარი გარდნერი ბრისტოლს გაემგზავრნენ ცხენებით. მშვენიერი დღე იყო. რაც უფრო წინ მიდიოდნენ, მით უფრო მშვენიერ და თვალის მომხიბლავი სანახავები ეშლებოდათ წინ. ხანდახან გზაზე დაბურული ტყეებიც ხვდებოდათ, საიდანაც გაზაფხულის ყვავილების სუნი სცემდათ და ჩიტების ჟრიამული და ჭიკ-გალობა სმენას უტკბობდათ. ცალკე ამ ბუნების სიმშვენიერემ და ცალკე ამ სასიამოვნო სეირნობამ ისეთნაირად იმოქმედეს ჯენნერის გონებაზე და მოხიბლეს მისი გრძნობები, რომ აქ პირველად გაუტყდა საიდუმლოში და უამბო ყველაფერი თავის მეგობარს. ჯერ აუხსნა, თუ რა დამცველი ძალა აქვს ძროხის ყვავილს და რა მალამოდ დაედება იგი კაცობრიობის სატკივარს და მერე უჩვენა ის საშუალება, რომლითაც შესაძლო იყო მისი ხალხში გავრცელება. ამასთანავე ჩამოუთვალა ყველა ის შრომა, რაც ამ საქმისათვის გაეწია ჯენნერს და აცნობა, რომ ახლა დასრულებას ცოტა-ღა მიკლიაო. ეჭვი არ არის, კაცობრიობას მალე დაიხსნი იმ საშინელი სახადისაგან, მაგრამ შენ მაინც ამას გთხოვთ, რომ ეს ამბავი ჯერ-ჯერობით ჩვენ შორის დარჩეს და ნურავის შეატყობინებო, ეხვეწებოდა ჯენნერი გარდნერს. ეს იმიტომ, რომ ჯენნერი კარგად გრძნობდა, თუ რა შედეგიც მოჰყვებოდა ამ წინასწარ თქმას და რა თვალით დაუწყებდა საზოგადოება ცქერას!

გავიდა ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე წელიწადი და ჯენნერი მაინც კიდევ ამ საგანს იკვლევდა. ბოლოს, როცა სრულიად შეიმუშავა, ადგა და პრაქტიკაზედაც სცადა. 1796 წლის 14 მაისს ჯენნერმა პირველად აუცრა ძროხის ყვავილი ადამიანს. აიყვანა ერთი რვა წლის ყმაწვილი, სახელად ჯონ ფიპსი და ორივე მხრებზე ნეშტარით გაუჭრა ცოტად ხორცი და შიგ თითო წვეთი ჩირქი ჩაუშვა. ჩირქი ჯენნერმა ერთი ყვავილიანი დედაკაცისაგან აიღო, რომელსაც იგი ძროხისაგან გადასდებოდა. ამნაირად, ყვავილის გესლი განგებ გადასდო ჯენერმა ადამიანს! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჯენნერი მოელოდა. ყმაწვილს ყვავილის ყველა ჩვეულებრივი ნიშნები გამოაჩნდა: ჯერ ცოტა შებურძგლა—გააცივ-გააცხელა და მერე ტანზედაც გამოჰყარა და სხვ. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ნიშნებიც სულ გაჰქრნენ. ვნება არაფერი მოსვლია ყმაწვილს და სულ ერთიანად მორჩა. მაგრამ ახლა სხვა, ყველაზე უფრო საჭირო რამ უნდა შეეტყო ჯენნერს: უნდა ჰქონოდა ფიპს ბუნებრივი ყვავილის შეყრის ფიქრი, თუ არა?? ამაში დასარწმუნებლად ჯენნერმა საოცარს საშუალებას მიჰმართა: ივნისში განგებ აუცრა იმავე ყმაწვილს ბუნებრივი ყვავილი. სამი დღე ამის შემდეგ შიშსა და წვალებაში გაატარა და მოუთმენელად ელოდა ამ მოქმედების შედეგს. ჯენნერი

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 1154.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივნისს

**იოკაგამა.** იაპონიაში მცხოვრებ ჩინელებმა მიჰმართეს თხოვნით იაპონიის მთავრობას იმის შესახებ, რომ მან იხმაროს თავისი გავლენა და დაეხმაროს ევროპის სახელმწიფოებს, რათა იმპერატორს კვლავ დაუბრუნდეს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე და სატახტო ქალაქად აღიარებულ იქმნას რომელიმე სამხრეთი ქალაქი. ეს ორი საშუალება საჭიროა ჩინეთის დამშვიდებისა და რეფორმების შემოღებისათვის.

**შანჰაი.** გამოცხადდა მთავრობის ცნობა, რომ 3 ივნისს ამბოხებულმა ჯარმა იერიში მიიტანა პეკინის საიმპერატორო სასახლეზეო.

**პრეტორია.** კვირას გენერალ ფრენჩის და გენერალ გამილტონის ჯარებმა და აგრეთვე მეთერთმეტე დივიზიამ განიზრახეს მტრის შუაში მოწყდევა სილკერსტიდან აღმოსავლეთით 15 მილის სიშორეზე. მოხდა ბრძოლა, რომელმაც გასტანა სამ დღეს. სამშაბათ ღამეს ბურებმა უკან დაიწიეს აღმოსავლეთისაკენ, დელაგოასაკენ მიმავალი გზით. ინგლისელების ზარალი—150 კაცი. იმედი აქვთ, რომ ბურებს გენ. ბულლერი მოუჭრის გზას.

**შანჰაი.** შანდუნში, გუბერნატორის მეოხებით, კარგი განწყობილება ჰსუფევს ჩინელებისა და ევროპიელების შუა. მისსიონერებს დახმარებას უჩენენ. მრავალ შიკრიკებისაგან, რომელნიც გუბერნატორმა გაგზავნა პეკინს, არც ერთი არ დაბრუნებულა ჯერ. მრავალი ჩინელი მიდის შანჰაიდან, ზოგი აქ ეძებს შველას, ზოგიც აქედან გარბის კანტონსა და ნინგპოსაკენ.

**ლონდონი.** უოლსლეიმ წარმოსთქვა ნადიმზე სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა: „ეხლანდელი მომენტი არ არის სასიამოვნო ქვეყნისათვის. ინგლისს ჯერ ვერ გაუთავებია სამხრეთ-აფრიკის ომი, თუმცა დარწმუნებული ვარ, მალე ვეღირსებით მის დასრულებას. ჩინეთში მოსალოდნელია საშიში ამბები, მაგრამ მე მრწამს, რომ, რაც უნდა განსაცდელი მოგველოდეს, ინგლისში ყოველთვის მოიპოვება საკმაო და კარგი ჯარის-კაციო.

**იოკაჰამა.** მინისტრთა საბჭომ განიხილა კითხვა—თუ რა გზას უნდა დაადგეს ეხლა იაპონია? ზოგი მინისტრი, მათ შორის სამხედრო და საზღვაოც, იმ აზრისანი იყვნენ, რომ იაპონიამ უნდა იკისროს წესიერების აღდგენა ჩინეთშიო; ზოგი კი ამტკიცებდა, რომ საკმარისია იაპონიამ დაიცვას უცხოენიო.

**პარიზი.** დელკასსემ გამოაცხადა მინისტრთა კრებაზე, რომ უცხოელებმა დასტოვეს იუნანსენი და იმყოფებიან ამ ჟამად შანჰაიში. პროვინციის მმართველმა ბრძანება გასცა, რომ თავები წაავგდებიონ ყველას, ვინც დამნაშავეა ევროპიელთა წინააღმდეგ მოძრაობაში იუნანსენში. დელკასსემ სთქვა, რომ უცხოელთა ელჩები იმყოფებიან ტიანცზინიდან 12 მილის სიშორეზე საერთაშორისო ჯარის ბანაკშიო.

17 ივნისს

**პეტერბურგი.** სენატორს შამშინს ებოძა დეისტვ. ტაინი სოვეტნიკობა. სენატორს შულცს ებოძა ალექსანდრე ნეველის ორდენი ბრილიანტებით შემკული.

18 ივნისს პეტერბურგში მოვა ხივის ხანის მემკვიდრე ასფენდიარ-ჯან-ტიურა თავის ამალით.

**ვაშინგტონი.** კემპფის მაგიერ დაინიშნება კონტრ-ადმირალი რემი. კემპფი გაიგზავნება ან ნაგასაკში, ან ჩიფუს. საკითხი, თუ რატომ არ მიიღო კემპფმა მონაწილეობა ტაკუზე იერიშის მიტანაში, გამოიძიება, როგორც კი გარემოება შესაძლებლად ჰყოფს ამ საქმის გამორკვევას.

**ბერლინი.** გერმანიის ესკადრის უფროსი იტყობინება, რომ ტიანცზინის განთავისუფლებისათვის გაგზავნილ ჯარი უკანვე დაბრუნდაო. მიუხედავ დიდის სიძნელისა, ჯარმა კარგად შეასრულა თავისი მინდობილება. მოკლულია ერთი კაპიტანი და 10 ჯარის კაცი. ჯარის კაცნი ჯან-სალათ არიან. უცხოელთა ელჩების შესახებ არაფერი ისმის. ჯარი დაბრუნდა ლანგფანიდანაც და პეკინში არ-ყოფილა.

**ლონდონი.** უცხოეთის საქმეთა სამინისტრომ მიიღო ტიანცზინის დამოჟნის მმართველობის მიერ პეკინიდან მისული ამბები შესახებ იმისა, რომ ელჩნი ჯერ ისევ პეკინში არიან.

**ვაშინგტონი.** ადმირალი კემპფი იუწყება ჩიფუდან 16 ივნის, რომ სეიმურის რაზმი ტიანცზინშია 200 ავადმყოფით და დაჭრილით; პეკინში მცხოვრებნი ელჩნი და უცხოელნი არარიან იმასთანა და არც ამბავი იცის რამე იმათი.

**ლონდონი.** პალატა. უილლიამ რედმონდიმ იკითხა—აპირებენ ეგვიპტეს თანდათან დაჭერას ჯარებით, თუ არა; როდის მოელება ბოლო ამას: „მმართველობა ვერას დაუმატებს იმ შეხედულებას, რომელიც გამოთქმული იყო სახალხო მის მიერ ანუ წინანდელ კაბინეტთა მიერ შესახებ ინგლისის პოლიტიკისა ეგვიპტეში“. ამის შემდეგ რედმონდი ჰკითხავს, ხედივი იმისათვის ხომ არ მიდის ინგლისში, რომ სთხოვოს მას წაიყვანოს იგი ეგვიპტედან. ბროდრიკმა არ უპასუხა. ჩემბერლენი ამბობს, რომ კუმისიდან არ არის მიღებული არავითარი ცნობები. შესახებ ელჩთა მდგომარეობისა პეკინში—ბროდრიკი ამბობს, რომ მმართველობის მიერ მიღებულია ყოველგვარი ცნობები და უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ ელჩნი პეკინში არიან.

პეტერბურგის ბირჟა 16 ივნისს

| | მყიდვე-ლნი. | გამყიდ-ველნი | გაყიდე-ლნი. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 98⅛ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98⅞ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 303½ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 261¼ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 203½ |

ამბობდა, რომ თუ ღმერთმა ქმნა და ამ ყვავილმა არ იმოქმედა ფიპსზე, ხომ კარგი, მაშინ ჩემი გამოგონება დამტკიცებულიაო. მაგრამ ვაი თუ?... ამ ნაირად გაატარა ჯენნერმა სამი დღე.

გავიდა ერთი დღე, მაგრამ ყმაწვილს არასფერი გამოსჩენია. დადგა მეორე დღე, რომელიც ჯენნერს ერთ კვირად ეჩვენა, მაგრამ ამ დღემაც მშვიდობით ჩაიარა. ეინიცობაა ამ დროს რომ ყმაწვილი შემთხვევით გაციებულიყო და ცოტა თავში სიცხე ეგრძნო, შენი მტერია ჯენნერს საქმე მოუვიდოდა: იგი უსათუოდ ჭკუიდან შეიშლებოდა. მისს გატაცებულს გონებას გაციება ყვავილად მოეჩვენებოდა, მაგრამ საბედნიეროდ მეორე დღესაც ყმაწვილს არასფერი შემთხვევია. მესამე დღეც მშვიდობით გათენდა და მშვიდობითვე დაღამდა. ყვავილი არც ახლა გამოსჩენია ყმაწვილს. მაშინ უნდა გენახათ ჯენნერის ალტაცება! იგი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ამდენმა შრომამ ტყუილად არ ჩაუარა.

ამ ნაირად გათავდა ყვავილის აცრის გამოგონების ამბავი.

IV

განგებ ყვავილის გადადება ერთიდან მეორეზე ჯენნერამდიც იყო შემოღებული ევროპაში. იგი დოქტორმა ტიმონმა გადმოიღო სტამბოლიდან და ინგლისში გადაიტანა. მაგრამ ამ საშუალებით ნამდვილ ბუნებრივ ყვავილს უცრიდნენ ადამიანს. სულ პირველად ამ საშუალებით ინგლისის ელჩის მეუღლემ აუცრა თავის შვილებს ხონთქრის სასახლეში. აცრილს რასაკვირველია გამოაჩნდებოდა ყვავილი, მაგრამ გაცილებით უფრო იოლად მოჰკიდებდა ხელს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ყვავილი თავის თავად შეეყრებოდა ხოლმე ადამიანს. უმეტესად ადვილად იხდიდენ ამ ნაირს ყვავილს და ვისაც ერთხელ გამოევლო, მეორედ შეყრის ფიქრი არა ჰქონდა. პირველ რვა წლებში ამ საშუალებით 845 კაცს აუცრეს და მათ შორის მხოლოდ 17 ვერ აიტანა და დაიხოცნენ. წინად კი, როცა ეს საშუალება არ სცოდნიათ, ბუნებრივი ყვავილით ავადმყოფთა შორის მერვედი ნაწილი მაინც იხოცებოდა. ასე რომ, ერთი შეხედვით, კაცს ეგონებოდა ეს საშუალება დიდი შეღავათია ადამიანისათვისაო, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა იყო. საქმე ისაა, რომ ამ საშუალებით, რაც უნდა იყოს, მაინც ბუნებრივსა და საშიშარ თვისების ყვავილს უცრიდნენ ადამიანს და ამიტომ იგი ადვილად ედებოდა სხვებსაც და იქაც ვრცელდებოდა, საცა წინად მისი ხსენებაც კი არ იყო. დოქტორი გებერდინის ანგარიშით წარსული საუკუნის უკანასკნელ წლებში (ესე იგი იმ ხანებში, როცა ინოკულიაცია დიდ პატივში ეყო) ყოვილ წელს ლონდონის ყოველ ათას მცხოვრებში 95 კაცი იხოცებოდა ყვავილისგან. სანამ ამ საშვალებას შემოიღებდნენ, მანამდი კი იმავე რიცხვში 70 კაცი იხოცებოდა. აქედან ცხადია, რა მნიშვნელობაცა ჰქონდა ინოკულიაციას! იგი თუმცა ერთის მხრით შველიდა ცალკე ადამიანს ბუნებრივი ყვავილის მოხდაში, მაგრამ საზოგადოდ კი ხელს უწყობდა ყვავილის გავრცელებას.

ახლა, ამ ჩვენს დროში, ამ საშუალებას არავინ არ ხმარობს, თუმცა კი წინად დიდ პატივში იყო. ეს იმიტომ, რომ ჯენნერამდი ამაზე უკეთესი საშუალება არ იცოდნენ.

(შემდეგი იქნება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი.. | — | — | 90 |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა.... | — | 86½ | — |
| ქუთ. სადგ. - მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ.... | — | 101 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98 | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ... | — | 98 | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .... | — | 90 | — |

დრ. რედ. ალ. ჭყონია

## ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . 1 | გ. 10 | კ. |
| სუკი . . . . . | » | — 15 | კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — 8½ | კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 | კ. |
| » კამეჩისა | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორჯეთი | . 1 » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. 5 | კ. |
| » » | II | » | » | » 3½ | » |
| » » | III | » | » | » 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » 5 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |
| » » | III | » | » | » 3½ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | » 6 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |

---

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: გოგზალზე,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 120 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1—5 | — |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 30 | —— |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაშეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი ილდიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

**მატარებელი № 7** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

**სახალხო მატარებელი № 33** რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

**საგარაკო მატარებელი № 15** ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

**საგარაკო მატარებელი № 16** მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

**საგარაკო მატარებელი № 18** გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 57** შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 58** ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 59** შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

**სახალხო და საქონლის მატარებელი № 60** ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10 წ. საღ.; შორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.

---


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, 1900 წ. 28 ივნისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით უნდა გაიცეს ქალაქის მამულის ერთი ნაჭერი მიწა მე-7 ნაწილში, ავლაბარში; მიწა ზომით არის 23 დესეტინა, კარგ გაჯის მოსამზადებლად.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. 6 (3—3)


გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюня 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.